კონსტანტინე (კოწო) ბადრიძე

კონსტანტინე ბადრიძე დაიბადა ქუთაისში 1902 წლის 11 აპრილს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი იურიდიული განხრით. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1923 წლიდან სამხედრო სკოლაში, შემდეგ მუშაობდა თბილისის კინოსტუდიაში სასცენო მოძრაობის პედაგოგად (1924-2026 წწ.) მუშა-ახალგაზრდობის თეატრში (1929-1933 წწ.), კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწოფო თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში (1931-1933 წწ.), თბილისის კინომსახიობთა სკოლაში (1936-1948 წწ.), მხატვრული თვითშემოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში (1952-1956 წწ.), თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში (1943-1947 წწ.).

1939 წლიდან კ. ბადრიძე მუსაობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სასცენო მოძრაობისა და ფიზაღზრდის პედაგოგად.

კ. ბადრიძემ გიორგი ეგნატაშვილთან ერთად საქართველოს სპორტული აკრობატიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

კ. ბადრიძე იყო პირველი ქართველი აკრობატი, რომელმაც შეიმუშავა წყვილთა და ჯგუფური ვარჯიშები. მას ხშირად იწვევდნენ საქართველოს სხვადასხვა თეატრებსა და თბილისის კინოსტუდიაში ბატალური და ინდივიდუალური სცენების დასადგმელად. კ. ბადრიძის მიერ არის დადგმული სცენები შემდეგ ფილმებში - „წითელი ეშმაკუნები“, „გიორგი სააკაძე“, „ბაში-აჩუკი“, „მამლუქი“, „მაია წყნეთელი“ და სხვა. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე - „სამი ბღენძი“, „მეფე ერეკლე“, „კოლხეთის ცისკარი“, „ესკადრის დაღუპვა“. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე - „ბორის გოდუნოვი“, „ოპტიმისტური ტრაგედია“, „არაგველები“, „ბახტრიობი“. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმულ ოპერებზე - „არსენა“, „მინდია“, „დიდოსტატის მარჯვენა“.

კ. ბადრიძე ჩართული იყო საზოგადოება „ცოდნის“ აქტიურ მუშაობაში. იგი თბილისის თეატრების ახალგაზრდა მსახიობთა კვალიფიკაციის ასამაღლებად საქართველოს თეატრალური საზოგადოების დავალებით კითხულობდა ლექციებს.

1966 წელს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1973 წელს დაიბეჭდა კონსტანტინე ბადრიძის წიგნი „მსახიობის ყოველდღიური ვარჯიში“.

კონსტანტინე (კოწო) ბადრიძე 1980 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში.

კონსტანტინე ბადრიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

მოწმობა, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, დახასიათება, ცნობარი

1. კონსტანტინე ბადრიძის თბილისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრის მოწმობა („ტრამი“).

1929 წ. 6 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. შტამპი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

2. კ. ბადრიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1939 წ. 16 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. ბეჭედდასმული. მელანი. 4 გვ.

3. კ. ბადრიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1957 წ. 2 მარტი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 4 გვ.

4. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული კონსტანტინე ბადრიძის ცნობარი.
   1956 წ. 29 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 3 გვ.

5. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ გაცემული კონსტანტინე ბადრიძის დახასიათება.
   1957 წ. 2 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორი - ილია თავაძე. 1 გვ.

ცნობები

6. კ. ბადრიძის თბილისის კინომსახიობთა სკოლაში პედაგოგად მუშაობის შესახებ.
   1948 წ. 10 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.